34(05)
ეროვნული ბიბლიოთეკა
3-24.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის მაისის 25	№ 12 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მუხ. 100. აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტებში ფედერატიული უწყებების ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებისათვის საჭირო ხარჯების ჩართვის შესახებ.

101. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის შედგენილობაში კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის ჩარიცხვის შესახებ.

102. ახალციხის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის განმტკიცების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

103. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან საკონიუნქტურო საბჭოს და სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობის კონტროლის გაერთიანებული სექტორის მოწყობის შესახებ.

104. „ა/კსფსრ-ში დამმზადებული სისტემის რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 8-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

105. საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მიერ გეგმებისა, ანგარიშებისა და სხვა მასალების წარუდგენლობასთან საბრძოლველად საჭირო ფინანსური ხასიათის ღონისძიებათა შესახებ.

106. კალიასთან ბრძოლის ხაზით წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

100. აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტებში ფედერატიული უწყებების ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებისათვის საჭირო ხარჯების ჩართვის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ხარჯების კლასიფიკაციის შესაბამისად, რაც მოწოდებულია საკავშირო ორგანოების მიერ, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების რესპუბლიკანურ ბიუჯეტში ჩაირთვას შესაბამისი ხარჯები იმ გაერთიანებული სახალხო კომისარიატების სათანადო ადგილობრივი აპარატებისა, რომელნიც აწესრიგებენ ამ რესპუბლიკების და ოლქების ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობას: მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, მომარაგების სახალხო კომისარიატებისა და აგრეთვე საერთო მმართველობისა და შრომის დაცვის ხაზით: ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა და შრომის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებისა ავტონომიურ რესპუბლიკებში.

2. ამასთან დაკავშირებით 1932 წელს ამა დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯებისათვის საჭირო თანხები გადაეცეს აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების რესპუბლიკანურ ბიუჯეტებს ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ბრუნვის გადასახადიდან, 1-ლ მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ორგანოების ხარჯთაღრიცხვებით დანიშნული თანხების სათანადო შემცირებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. აპრილის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

101. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის შედგენილობაში კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის ჩარიცხვის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის შედგენილობა შევსებულ იქნეს კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარით.

2. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულების მე-11 მუხლის პირველი აბზაცი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 16 №-ი, მუხ. 191) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 11. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი მოიწყობა შემდეგი შედგენილობით: ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ორი მისი მოადგილე, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარენი, კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე და რვა წევრი, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარენი“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. აპრილის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

102. ახალციხის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის განმტკიცების შესახებ.

მოისმინ-რა ახალციხის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენება ახალციხის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს განსაზღვრულ წარმატებას ახალციხის რაიონის სამეურნეო და კულტურული განმტკიცების საქმეში; ეს წარმატება გამოიხატა კოლექტივიზაციის ზრდასა, საბჭოთა მეურნეობების მეუნებლობასა, ეროვნულ უმცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესობათა შორის მუშაობასა, ნათესი ფართობის გადიდებასა, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის გადიდებასა და სასკოლო ქსელის გაფართოებაში და სხვა მისთ.

ამ წარმატებასთან ერთად ახალციხის სარაიონო კომიტეტის მუშაობას თანსდევს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომელთა შორის მთავარია:

ა) საგაზაფხულო თესვის კამპანიის განმზადების გარშემო მასსური მუშაობის სუსტად გაშლა და თვით თესვის გაშლა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თებერვლის 20 დადგენილების თანახმად;

ბ) მასსური მუშაობის სუსტად გაშლა შინასაკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისათვის, საწარმოო და სამუშაო გეგმების შედგენისა და თავის დროზე აღმსრულებლამდე მიწვდენისათვის, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის 4-ის დადგენილების თანახმად ბრიგადების მოწყობისათვის, კოლმეურნეთა, განსაკუთრებით საკოლმეურნეო აქტივის, აღზრდისათვის;

გ) „რაიონის სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითად მაჩვენებელთა სოფლის საბჭოების ხაზით მასსური დამუშავების შესახებ“ მიღებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების შეუსრულებლობა;

დ) ძირითადი სახის დამზადებათა ხაზით საგეგმო დავალებების შეუსრულებლობა;

ე) თუმცა სოფლად პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უკანასკნელ ხანში ეტყობა გაუმჯობესების დამახასიათებელი მოძრაობა, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ თავს იჩენს: არადიფერენცირებული ხელმძღვანელობის პრაქტიკა სასოფლო საბჭოების მიმართ, განსაკუთრებით სანაპირო ზოლში; მასსური მუშაობის ნაცვლად ზეში ადმინისტრირება მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში; ცალკეული სარაიონო ორგანიზაციების ცდა „მემარცხენე გადახრების შეცდომების“ „მემარჯვენე ოპორტუნისტული“ პრაქტიკით გამოსწორებისათვის (მთელი კოლექტიური მეურნეობის დაშლის კენჭისყრით გადაწყვეტა, ზოგიერთ კულაკურ მეურნეობამდე მტკიცე დავალებების მიუწვდენელობა).

ზემოალნიშნულის მიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ახალციხის სარაიონო კომიტეტს:

ა) გაშალოს საბჭოების მასსური მუშაობა საგაზაფხულო თესვის ჩატარების გარშემო და ძირითადი ყურადღება მიაქციოს ბრძოლას მოსავლიანობის თვისებითი მაჩვენებლებისათვის; განახორციელოს ღონისძიებანი კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის; ამავე დროს არ უნდა შეასუსტოს ყურადღება ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა სექტორის მიმართ; გადაჭრით აღმოფხვრას სასოფლო საბჭოებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და ცალკეულ მეურნეობებამდე საგეგმო დავალებათა მექანიკურად მიწვდენის პრაქტიკა; უზრუნველჰყოს გეგმის შესრულებისათვის წარმოებული მუშაობის ცენტრის სასოფლო საბჭოების ქვედა რგოლეულებში (დეპუტატთა ჯგუფები, სექციები, საწარმოო თათბირები) და კოლექტიურ მე-

ურნეობებში გადატანა; ჩააბას საკოლმეურნეო და ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო გლეხობის მასსების ფართო აქტივი შემხვედრი გეგმების შედგენაში და ამ გეგმების შესრულებაში, თვითეული საწარმოო ერთეულის თავისებურობის ანგარიშში მიღებით; სასოფლო საბჭოებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და აქტივს შორის სოციალისტური შეჯიბრებისა .და დამკვრელობის გაშლის საფუძველზე მიღწეულ უნდა იქნეს სარაიონო ორგანიზაციების მუშაობაში დიფერენცირებული ხელმძღვანელობა თვითეული სასოფლო საბჭოს და კოლექტიური მეურნეობის მიმართ, მათი ეკონომიური, პოლიტიკური, ნაციონალური და სხვა თავისებურობის ანგარიშში მიღებით, მეტადრე იმ სასოფლო. საბჭოების ხაზით, რომელნიც სანაპირო ზოლში იმყოფებიან ან დასახლებულ არიან ეროვნული უმცირესობით; მიიმაგროს მთლად კამპანიის პერიოდში სარაიონო აქტივი სოფლებს და კოლექტიურ მეურნეობებს; მოისმინოს რეგულიარულად მოხსენებანი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ და მოსთხოვოს სათანადო ორგანოებს გარკვეული თავისდროული ინფორმაცია;

ბ) კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისათვის—ბრიგადების მუშაობის წესიერად მოწყობით და გაუმჯობესებით, მათ მუშაობაში გაუპიროვნების ლიკვიდაციით, ბრიგადირების პასუხისმგებლობის გადიდებით, შრომა-დღეებში შრომის აღნუსხვისა და შეფასების წესიერად დაყენებით, ნარდობის შთანერგვით და საკოლმეურნეო აქტივის დაწინაურებით და აღზრდით,—ფართოდ დაამუშაოს სასოფლო საბჭოების პლენუმებზე, კოლექტიურ მეურნეობებში და ბრიგადირების სარაიონო შეკრებაზე სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. თებერვლის 4-ის გადაწყვეტილება, რაც უნდა გადაიქცეს მთელი მუშაობის საბრძოლო პროგრამად კოლექტიური მეურნეობების განმტკიცებისათვის; ამისდაშესაბამისად დაუყოვნებლივ შეუდგეს სასოფლო საბჭოების მუშაობის გარდაქმნას და მუშაობის ცენტრი გადაიტანოს საკოლმეურნეო ბრიგადაში დეპუტატთა ჯგუფების მოწყობით და საბჭოს დეპუტატების ბრიგადებზე მიმაგრებით—ისე, რომ საბჭოს თვითეული დეპუტატი შველოდეს ბრიგადირს მუშაობაში და დაუყოვნებლივ ააცილებდეს საქმეს სულ მცირე დაბრკოლებასაც-კი ბრიგადირების ჯგუფური თათბირების მოწვევით მუშაობაში მიღწეული გამოცდილების გაცვლა-გამოცვლისათვის; გარდაქმნას სასოფლო საბჭოების საწარმოო თათბირების მუშაობა ჯგუფებისა და ბრიგადების მოწყობით საკოლმეურნეო სამუშაოთა ცალკეული დარგებისათვის (შრომის და ნამუშევარის აღნუსხვის ჯგუფი, მუშაობის თვისების აღნუსხვის ჯგუფი და სხვა მისთ.);

გ) მუშაობის დროს ყურადღების ცენტრში დააყენოს ადგილობრივი მრეწველობის (თაბაშირი, ტყე და სხვ.) მაქსიმალური განვითარება, ახალციხის რაიონის სამრეწველო საწარმოთა მიერ სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის ხელისშეწყობა და ამხ. სტალინის ექვსი პირობის საფუძველზე წარმოებაში ნაკლოვანებათა თავიდან აცილება; ფართოდ გაშალოს მასსური მუშაობა სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში რაიონების ჩაბმისათვის და მოაგვაროს დეპუტატთა ჯგუფების მუშობა, რისთვისაც მოაწყოს ეს ჯგუ-

ფები ყველა საწარმოში და გადააქციოს ისინი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ორგანიზატორებად და ხელმძღვანელებად და სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის აქტიურ მებრძოლებად;

დ) გააძლიეროს მუშაობა სარაიონო ორგანიზაციების გარდასაქმნელად სოფლისა და კოლექტიური მეურნეობისაკენ პირის მიბრუნების თვალსაზრისით, რისთვისაც დამყარებულ უნდა იქნეს ცოცხალი კონკრეტული დიფერენცირებული ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოებისა და მისი სექციების მიმართ; ამავე დროს იხმაროს ღონისძიებანი, რათა სამართლის წარმოება და საქმის წარმოება, რაც შეიძლება სასწრაფოდ, გადატანილ იქნეს ადგილობრივ ნაციონალურ ენებზე, განსაკუთრებით სასოფლო საბჭოებში; აგრეთვე გააცხოველოს სასოფლო საბჭოების მუშაობა კოლექტიური მეურნეობებისა და მათთან არსებული დეპუტატთა ჯგუფებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში; თანაც გაძლიერებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოების სექციების მუშაობა და ეს მუშაობა გარდაიქმნას საბრიგადო-სადარგო სისტემის ხაზით; მათი მუშაობის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს მინდვრად და ამ მუშაობაში უნდა ჩაებას კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეთა აქტივი;

ე) მიაღწიოს პარტიის ხაზის იმ უხეშ დამახინჯებათა ბოლშევიკურად გამოსწორებას, რაც გამოიხატა სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსების ინტერესების უგულვებელყოფის ელემენტებში (ვალე, ჯაგისმანი) და კულაკისადმი შემარიგებლობაში მის მიერ მტკიცე დავალებათა შესრულების ხაზით; ეს გამოსწორება მიღწეულ უნდა იქნეს მასსური მუშაობის გაშლით, ქვედა და სარაიონო რგოლეულების მუშაობაში მეტი გარკვეულობისა, ოპერატიულობისა და მოქნილობის შეტანით, დავალებათა ხშირი ცვალებადობის პრაქტიკის თავიდან აცილებით, რაც იწვევს მომუშავეთა რყევას და დეზორგანიზაციას, და სასოფლო საბჭოებთან არსებულ ღარიბთა ჯგუფების მუშაობის განმტკიცებით; გაუწიოს მკვეთრი წინააღმდეგობა კულაკებისადმი შემარიგობლობის მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას და იძულებულჰყოს კულაკები შეასრულონ მტკიცე დავალებანი; ამ საქმისათვის უნდა მოახდინოს კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეთა ფართო მასსების მობილიზაცია;

ვ) მიაღწიოს გადამწყვეტ გარდატეხას რესსურსების მობილიზაციით შესატანი თანხების სრულად დაფარვის საქმეში, რისთვისაც მიამაგროს ამ მხრივ ჩამორჩენილ სასოფლო საბჭოებს პასუხისმგებელი მომუშავენი და შემოიღოს ფართო დაპრემირების სისტემა როგორც იმ სასოფლო საბჭოებისა, საწარმოთა, დაწესებულებებისა, კოოპერაციისა, კოლექტიური მეურნეობებისა და შემნახველი სალაროების მიმართ, ისე იმ ცალკეულ მომუშავეთა მიმართ, რომელთაც წარმატებით და გადამეტებით შეასრულეს ფულადი რესსურსების მობილიზაციის გეგმა; ამასთან ერთად ფართოდ უნდა იქნეს შეფარდებული საზოგადოებრივი ზედმოქმედების ღონისძიებანი ჩამორჩენილთა მიმართ; პირაღებით უნდა აღმოიფხვრას ზერელე ადმინისტრირება, რამაც თავი იჩინა სასოფლო საბჭოების მუშაობაში (ვალი) ფართო მასსური მუშაობის გაშლით და სასოფლო საბჭოებთან ღარიბთა ჯგუფების განმტკიცებით;

ზ) იხმაროს კონკრეტული ღონისძიებანი ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის სარაიონო ხაზით დამუშავებისა და სოფლამდე და კოლექტიურ მეურნეობამდე მიწვდენისათვის და აგრეთვე სასოფლო საბჭოების დამოუკიდებელ ბიუჯეტზე ნამდვილად გადაყვანისათვის;

თ) მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას; გააძლიეროს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა კოოპერირება და გაადიდოს მისი პროცენტი, პირველ რიგში კოლმეურნეებისა; თვალყური ადევნოს ღარიბთა ფონდის თავის დროზე და სავსებით გამოყენებას; ამავე დროს ებრძოლოს ყოველგვარ ბოროტმოქმედებას კოოპერაციაში, გლეხობასთან ანგარიშის გასწორების დაგვიანებას დამზადებათა ხაზით და აგრეთვე იხმაროს ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ დაფარულ იქნეს დავალიანება დამზადებათა ხაზითვე;

ი) შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ადგილობრივი მნიშვნელობის საკურორტო ადგილების შემდგომი განვითარებისათვის;

კ) იხმაროს პრაქტიკული ღონისძიებანი რაიონში სასკოლო მშენებლობის დაჩქარებისათვის, სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლის მიერ სავსებით მოცვისათვის, განსაკუთრებით თურქ-ქალიშვილებისა, და წერაკითხვის უცოდინარობის დანიშნულ ვადაზე ლიკვიდაციისათვის, საბავშვო დაწესებულებათა, ქოხ-სამკითხველოთა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელის ფართოდ გაშლისათვის და აგრეთვე სამკურნალო დახმარებით რაც შეიძლება უკეთესად მომსახურეობისათვის; თანაც აწარმოოს ბრძოლა ბებიებისა, ექიმბაშებისა და ცრუ-ექიმების წინააღმდეგ;

ლ) უზრუნველჰყოს მასსური კვალიფიკაციის სასოფლო-სამეურნეო კადრების (ბრიგადები, ფერმების გამგენი, მემინდვრენი, შრომის ორგანიზატორნი) მომზადებისა და გარდამზადებისათვის წრეების ქსელის გაშლით, არადასასწრებელ რადიო-სწავლებაში ჩაბმით, კურს-კონფერენციების ჩატარებით, ყველა კოლექტიურ მეურნეობაში „აგროტეხნიკის საათის“ მოწყობით და საწარმოო თათბირების მუშაობის ამოძრავებით; ამასთანავე, საკოლმეურნეო კადრების მომზადების საქმისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სათანადო სამეურნეო ორგანიზაციების სახსარი; აგრეთვე უზრუნველჰყოს, არა უგვიანეს 1932 წ. ივნისისა, რაიონში სპეციალური კურსების გახსნა საბჭოთა საადმინისტრაციო კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის რაიონის ძირითად ეროვნებათაგან.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—დაავალოს:

ა) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—შეავსოს უმოკლეს ვადაზე ახალციხის რაიონში სამედიცინო პუნქტები სათანადო პერსონალით და უზრუნველჰყოს პირველ რიგში სამი სამკურნალო პუნქტის გახსნა სანაპირო სასოფლო საბჭოებში;

ბ) საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ცენტრს—გააძლიეროს ცოცხალი ხელმძღვანელობის გაწევა ახალციხის სარაიონო კოლექტიური მეურნეობებისათვის და აგრეთვე უზრუნველჰყოს სათანადო კრედიტებით ოთხფეხი საქონლის

ბაკების აშენება კოლმეურნეთა განსაზოგადოებული საქონლისათვის, და აგრეთვე თამბაქოს საშრობთა აშენება;

გ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გააძლიეროს რაიონისათვის აგრონომიული მომსახურეობის გაწევა და გადასდოს სათანადო სახსარი კადრების მოსამზადებლად;

დ) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს 1932-33 წ. სავსებით ახალციხის რაიონის სკოლები პედაგოგიური კადრებით და სასწავლო წიგნებით ნაციონალურ ენებზე, რისთვისაც დააჩქაროს სპეციალური კურსების გახსნა პედაგოგ-თურქ ქალების გარდასამზადებლად და აგრეთვე უზრუნველჰყოს საშენი მასალით ის სკოლები, რომლებიც ახლა შენდება;

ე) ცეკავშირს—მოაგვაროს რაიონის მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით სათანადო ნორმების კვალობაზე და მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საგლეხო მოხმარების საქონლის ასსორტიმენტს;

ვ) საქართველოს გეოლოგიურ-საძიებლო სამმართველოს—უზრუნველჰყოს სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა იმ პარტიის მუშაობისათვის, რომელიც აწარმოებს გეოლოგიურ-საძიებლო სამუშაოებს ქვანახშირის ხაზით და იხმაროს ღონისძიება პარტიის მუშაობის მაქსიმალური დაჩქარებისათვის—ისეთი ვარაუდით, რომ მუშაობა დამთავრებულ იქნეს მიმდანარე სეზონის ბოლოსთვის.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს—უზრუნველჰყოს უმოკლეს ვადაზე ახალციხის რაიონის სანაპირო სასოფლო საბჭოები ტელეფონის კავშირგაბმულობით სარაიონო ცენტრთან და გააძლიეროს მუშაობა სოფლებისათვის საფოსტო კავშირგაბმულობის მომსახურეობის გასაწევად.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—გაგზავნოს ათი დღის ვადაზე საკომპლექსო ბრიგადა ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. აპრილის 27.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

103. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან საკონიუნქტურო საბჭოს და სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობის კონტროლის გაერთიანებული სექტორის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან საკონიუნქტურო საბჭო.

II. საკონიუნქტურო საბჭოს შეადგენენ: ა) თავმჯდომარე—სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ამიერკავკასიის სამმართველოს უფროსი, ბ) თავმჯდომარის მოადგილე—ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობის კონტროლის სექტორის თავმჯდომარე და გ) 11 წევრი გადამწყვეტი ხმის უფლებით: 1) ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექტორის თავმჯდომარე, 2) ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის სოციალ-კულტურული სექტორის თავმჯდომარე, 3) ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 4) მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) კოლეგიის წევრი, 5) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 6) ა/კ. მომარაგების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 7) ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 8) ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 9) ა/კ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 10) ა/კ. რკინის გზების დირექციის წარმომადგენელი და 11) ახალი რკინის გზების მშენ. ა/კ. სარაიონო სამმართველოს წარმომადგენელი.

III. საკონიუნქტურო საბჭოს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

ა) შეიმუშაოს წინასწარ პროგრამები, მეთოდოლოგია, ფორმები და წესი ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობის შესახებ მასალების წარდგენისა;

ბ) დაიმუშაოს ყოველთვიურად და დაამტკიცოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ჯუმლობითი კონიუნქტურა სათანადო კონკრეტული წინადადებებით.

IV. საკონიუნქტურო საბჭოს დადგენილებები შეიტანება დასადასტურებლად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში და წარედგინება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

V. საკონიუნქტურო სამუშაოების უშუალო წარმოება ეკისრება ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობის კონტროლის სექტორს.

VI. წინადადება მიეცეს ყველა უწყების ხელმძღვანელს მიაქციოს უდიდესი ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა მოწყობილ იქნეს საკონიუნქტურო სამუშაოები დაწესებულ ვადაზე, რისთვისაც თავისი უწყების შედგენილობაში უნდა მოაწყოს საკონიუნქტურო საბჭო და დანიშნოს კონიუნქტურისათვის პასუხისმგებელი პირი.

VII. წინადადება მიეცეს ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას—მოახსენოს ერთი თვის შემდეგ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რა მდგომარეობაში იქნება საკონიუნქტურო სამუშაოები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შაგერდოვი.**

1932 წ. მაისის 10.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

104. „ა/კსფსრ-ში დამმზადებელი სისტემის რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 8-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: „ა/კსფსრ-ში დამმზადებელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 8-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

(6. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემაში:)

„ა) საფქვავი მრეწველობის ამიერკავკასიის ტრესტი (საკავშირო მნიშვნელობისა), რომელიც შევა „სოიუზმუკა“-ს შედგენილობაში, პროდუქციის გადამუშავებისა და რეალიზაციის ფუნქციებით; ამ ტრესტის სამმართველო იმყოფებოდეს ქ. ტფილისში;

მოეწყოს აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში ტრესტის რწმუნებულთა ინსტიტუტი; რწმუნებულთა სამყოფელ ადგილად დაინიშნოს ბაქო და ერევანი—კუთვნილებისამებრ; გადაეცეს ტრესტს „სოიუზხლების“ ყველა სამრეწველო საწარმო, რაც ა/კსფსრ-შია, წისქვილებთან მდებარე ელევატორებით და საწყობებით და აგრეთვე „სოიუზხლებ“-ის ის საწყობები, რაშიაც უპირატესად ფქვილია“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შაგერდოვი.**

1932 წ. მაისის 15.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

105. საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მიერ გეგმებისა, ანგარიშებისა და სხვა მასალების წარუდგენლობასთან საბრძოლველად საჭირო ფინანსური ხასიათის ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ცალკეულ უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ საფინანსო ორგანოებში საანგარიშო და სხვა მასალების წარუდგენლობასთან ბრძოლის მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი შემდეგი ფინანსური ხასიათის ღონისძიებათა დაწესება, რასაც საფინანსო-საკრედიტო სისტემა ანხორციელებს სათანადო შემთხვევაში:

1. ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ უწყებათა მიმართ: საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის კრედიტების გახსნის დაყოვნება, ხოლო, თუ კრედიტი გახსნილია—მისი განაღდების დაყოვნება.

შენიშვნა. ამა მუხლის მოქმედება არა ვრცელდება სამუშაო ხელფასის კრედიტებზე.

2. ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ სამეურნეო ორგანოების მიმართ—კაპიტალური მშენებლობისა და საბრუნავი სახსრისათვის კრედიტების გახსნის დაყოვნება. ხოლო, თუ კრედიტები გახსნილია და თანხები გადაცემულია ბანკებში კუთვნილებისამებრ წარმართვისათვის—ბანკები დააყოვნებენ მათ განაღდებას ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების (კუთვნილებისამებრ) განკარგულების თანახმად.

3. იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიმართ, რომელნიც ბიუჯეტიდან არა ფინანსდებიან—დადგენილ იქნეს წესი, რის მიხედვითაც ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების (კუთვნილებისამებრ) განკარგულების თანახმად ბანკები (სახელმწიფო ბანკი, სამრეწველო ბანკი, კომუნალური ბანკი და მათი ფილიალები) მოვალენი არიან შეაჩერონ საბანკო სესხთა გაცემა (მიზნობრივი სესხი, გზაში მყოფი თანხები, სასეზონო დაგროვებანი).

ზემოაღნიშნული უფლება მიეცეს ბანკებს აგრეთვე იმ უწყებათა და საწარმოთა მიმართ, რომელთაც აქვთ საბიუჯეტო ასიგნები.

4. ზემოდ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გარდა, ფინანსური ზედმოქმედების ერთ-ერთი ღონისძიების სახით, უფლება მიეცეს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს (კუთვნილებისამებრ)—დაადვან ჯარიმა, არა უმეტეს 100 მანეთისა, უწყებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო-საანგარიშო აპარატების ხელმძღვანელთ ან იმ პირთ, ვისაც უწყების და სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი უჩვენებს.

5. ნუსხა იმ მასალისა, რის წარუდგენლობისათვისაც ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მოთხოვნილი მოცულობით, შეფარდებულ უნდა იქნეს ესე დადგენილება, განისაზღვროს შემდეგი სახით:

სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით:

1. კვარტალური ბალანსები. 2. წლიური სამრეწველო-საფინანსო გეგმები. 3. წლიური ბალანსები ყველა მასალით და განმარტებითი წერილით. 4. კვარტალური საფინანსო გეგმები, რაც დასაბუთებულ უნდა იქნეს სამრეწველო-საფინანსო გეგმების ძირითადი მაჩვენებლების აღნიშვნით კვარტალური ხაზის კვალობაზე.

უწყებების ხაზით:

1. ყოველთვიური, კვარტალური, ნახევარწლიური და წლიური საკონიუნქტურო მიმოხილვები. 2. ჯუმლობითი ანგარიშები. 3. ჯუმლობითი წლიური და კვარტალური საფინანსო გეგმები განმარტებითი წერილით. 4. საუწყებო წლიური ხარჯთაღრიცხვები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 22.
№ 479.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

106. კალიასთან ბრძოლის ხაზით წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ.

კალიასთან ბრძოლის ხაზით წარმოებული მუშაობის ყველა ნაკლის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისა და საგეგმო დავალებათა თავის დროზე შესრულებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს კალიასთან ბრძოლისათვის დანიშნულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულს ამხ. ვეზიროვს:

ა) იხმაროს დაუყოვნებლივ რაც შეიძლება მკვეთრი ღონისძიებანი კალიის სრული ლიკვიდაციისათვის ისე, რომ იგი ზაფხულამდე არ გაიზარდოს;

ბ) იხმაროს მკვეთრი ღონისძიებანი, რათა კალიასთან ბრძოლის საჭიროებისათვის წარმართული ყველა ტვირთი იგზავნებოდეს კალიის გასანადგურებლად წარმოებული მუშაობის ადგილებზე თავის დროზე, რაიმე დაბრკოლების გარეშე.

2. წინადადება მიეცეს მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. კონტორის მმართველს ამხ. ჟღენტს:

ა) დაუყოვნებლივ წავიდეს კალიით მოდებულ ადგილებში საჭირო მუშაობის ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად;

ბ) ცალკე შეამოწმოს და შეაკავშიროს მუშაობა კალიასთან საბრძოლველად მიწის ზედაპირული ბრძოლის მეთოდით, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ჰაერმეთოდით მუშაობა არ იძლევა საკმარისს შედეგებს.

3. წინადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების დირექციას—იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი კალიასთან საბრძოლველად დანიშნული ტვირთის ყოველ რიგს გარეშე წარგზავნისათვის.

4. მიენდოს ა/კ. გზატკეცილებისა ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—უზრუნველჰყოს სამი დღის ვადაზე მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. კონტორისათვის 3 სატვირთო და 2 მსუბუქი ავტომანქანის გადაცემა მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც კალიასთან ბრძოლა გაგრძელდება.

5. ამხ. ვეზიროვმა და ჟღენტმა 5 დღის შემდეგ მოახსენონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მუსაბეკოვს, რა მდგომარეობაშია კალიასთან ბრძოლა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 22.
ტფილისი.

მთავლიტი 1861. სა.ქ. სახკომსაბჭოს სტამბა დაკვ. 1100. ტირაჟი 1.400.